899-902.1-03
ვ-652

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

იური ბიბილეიშვილი

# აჭარაში მოღვაწე მწერალთა შემოქმედება

(10.01. 01. ქართული ლიტერატურა)

ავტორეფერატი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრაზე

კონსულტანტი: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.
პროფესორი რევაზ მიშველაძე

ექსპერტი: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი ვლადიმერ მინაშვილი

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი ოთარ ჭურღულია
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.
პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.
პროფესორი რევაზ ჩხარტიშვილი

წამყვანი ორგანიზაცია: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის 26 ნოემბერს 13 საათზე. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს (P10.01.01.C№2) სხდომაზე.

მისამართი: 38.0026, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის "22/10"

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ნოდარ ტაბიძე



# შესავალი

მეოცე საუკუნე პარადოქსების საუკუნე აღმოჩნდა საქართველოს ისტორიაში. მტერი ენერგიულად უტევს საქართველოს ეროვნულ და ტერიტორიულ მთლიანობას. ეს პროცესი არახალია. უკანასკნელი ხუთი საუკუნის მანძილზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა "შაგრენის ტყავის" ალეგორიით აღიქმება. მეოცე საუკუნეში კი უფრო ინტენსიურად გაგრძელდა ქართული მიწების გასხვისების თუ ძალად მიტაცების საბედისწერო შემთხვევები. მისი პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული თუ ეკონომიკური მოტივები და მიზეზები ცალკე კვლევის საგანია და თავის დროზე პოლიტოლოგები, პოლიტიკოსები, ისტორიკოსები და ეკონომისტები ცხადყოფენ მათ. მაგრამ დღეს ცხადი და უდაოა ის ფაქტი, რომ ქართულ ტერიტორიებს და ქართულ მენტალიტეტს შედარებით მეტი წარმატებით მტერი უტევს იქ, სადაც მიზეზთა და მიზეზთა გამო შესუსტებულია ქართული ენისა და ქართული მწერლობის პოზიციები. ჩვენთვის ეს საბედისწერო შედეგები მიზანდასახულად მწიფდებოდა კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის ხანაში, როცა საბჭოთა ხელისუფლება შეგნებულად ასუსტებდა დაპყრობილ ხალხებში ეროვნულ თვითშეგნებას, მშობლიური ენისა და მწერლობის პოზიციებს. მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში საბჭოურ იდეოლოგიაში დამუშავებული ცნობილი მოწოდება – მეცნიერებასა და მწერლობაში ორ ენაზე წერისა და აზროვნების დასამკვიდრებლად, მიზანდასახულად იყო მიმართული მოკავშირე რესპუბლიკაში, სწორედ, ეროვნული ენებისა და მწერლობის ეროვნული ძალისხმევის შეზღუდვისა და თანდათანობით გაუქმებისაკენ. სამწუხაროდ, ქართველ ბოლშევიკთა ერთი წრის /ხელისუფლებაში დაწინაურებულთა/ ეს ანტიეროვნული პოლიტიკა თითქმის შეუფერხებლად ამუშავდა სწორედ საქართველოში, სადაც, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მეათე საუკუნიდან დაწყებული ეროვნული ერთიანობის საფუძვლად ქართული ენა და მწერლობა იყო გამოცხადებული. ეს იდეა მტკიცედ იყო დაცული საქართველოს ფეოდალურ დაქუცმაცებამდე. მხედველობაში გვაქვს მეათე საუკუნის